



„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ სამოქალაქო საბჭოების მიერ 2019 წელს გამოვლიანი საშიშროებები აჭარაში

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სამოქალაქო საბჭოებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 4 მუნიციპალიტეტის (ხულო, ქედა, შუახევი, ბათუმი) 8 დასახლებაში 40-ზე მეტი ინფრასტრუქტურული პრობლემა/საჭიროება გამოავლინეს.

სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდება, შიდა გზებისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგება, მენეჯერსაშიში ზონების გამაგრება, გარე განათების დამონტაჟება, საბავშვო ბაღებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის გამართვა, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა - ეს იმ საჭიროებების არასრული სიაა, რომელთა მოგვარების მიზნით ორგანიზაციამ მუნიციპალიტეტებს უკვე მიმართა.

სამოქალაქო საბჭოები ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივით შექმნილი მოქალაქეთა არაფორმალური გაერთიანებებია, რომლის მიზანია უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობითა და ჩვენი ორგანიზაციის შუამდგომლობით მოგვარდეს მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემები.

აღსანიშნავია, რომ აჭარაში ორგანიზაციის სამოქალაქო საბჭოების წევრებმა 2018 წელს 50-ზე მეტი ინფრასტრუქტურული პრობლემა/საჭიროება გამოავლინეს, რომელთაგან 27 სრულად და ნაწილობრივ აისახა მუნიციპალიტეტების 2019 წლის ბიუჯეტებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სამოქალაქო საბჭოების საქმიანობის ანგარიშს საზოგადოებას უახლოეს მომავალში წარუდგენს.

ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების პროექტებზე. ვფიქრობთ, რომ ჩვენი სამოქალაქო საბჭოების წინამდებარე დოკუმენტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისთვის მომავალი წლის ბიუჯეტების დაგეგმვისას მნიშვნელოვანი წყარო უნდა გახდეს.

ამ მიზნით წარმოგიდგენთ მოქალაქეების მიერ დასახელებული პრობლემების ჩამონათვალს:

აჭარა

ქედა, სოფელი ვაიო	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტარული ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> სკოლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, სპორტული ინვენტარის განახლება ბავა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობა, ინვენტარით აღჭურვა
მონეტარული საგზაო ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> საავტომობილო და შიდა გზებზე სანიაღვრე არხების კეთილმოწყობა შიდა გზებზე გარე განათების მონტაჟი

ქედა, სოფელი კვაშხა	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტარული საგზაო ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> შიდა გზების რეაბილიტაცია, დამორეზულ უბნებამდე ახალი გზების მოწყობა შიდა გზებზე გარე განათების მონტაჟი საავტომობილო და შიდა გზებზე სანიაღვრე არხების კეთილმოწყობა

ქედა, სოფელი ზვანა	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
გაუმართავი სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემა	<ul style="list-style-type: none"> სარწყავი წყლის სისტემის რეაბილიტაცია სოფლის ცენტრში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის დასრულება
მონეტარული საგზაო ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> მოსახლეობასთან მისასვლელი გზების მოწყობა შიდა გზებზე გარე განათების მონტაჟი სოფლის ცენტრალური გზის 1 კმ სიგრძის ნაწილის ბეტონის საფარით დაფარვა სოფლის ცენტრალურ გზაზე ბორდიურის გაკეთება ცენტრალურ და შიდა გზებზე გეოგრაფიული დასახელებების მანიშნებლების დამონტაჟება
მონეტარული ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელი პუნქტის მოწყობა ამბულატორიის ცენტრალურ საკანალიზაციოსისტემასთან მიერთება

ქედა, სოფელი ზასოვანი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
გაუმართავი სასმელი წყლის პრობლემა	<ul style="list-style-type: none"> წყლის რეზერვუარის /სასმელი წყლის სისტემის მოწყობა
მონეტარული საგზაო ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> მოსახლეობასთან მისასვლელი შიდა გზების მოწყობა შიდა გზებზე გარე განათების მონტაჟი ცენტრალურ და შიდა გზებზე გეოგრაფიული დასახელებების მანიშნებლების დამონტაჟება

ქედა, სოფელი წონიანი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტარული ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა, ინვენტარით აღჭურვა

ბათუმი, მონიო-აუსაროსის ადმინისტრაციული ერთეული	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტარული საგზაო ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> გონიოს მთაზე, ავციას ქუჩაზე საგზაო ნიშნების დამონტაჟება აფსაროსის მესამე შესახვევთან არსებულ საჯარო სკოლასთან მისასვლელი ტროტუარების დაგება პეტრე იბერის ქუჩის ბოლოდან გონიოს ჯვრამდე ასასვლელი საფეხმავლო გზის გაკეთება და მიმართულების მანიშნებლების დაყენება გონიოს მთაზე, ავციას ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა
მონეტარული ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> გონიოს დასახლებაში, საჯარო სკოლასთან არსებული საფეხბურთო სტადიონის სრული რეაბილიტაცია ზღვის სანაპიროსთან საზოგადოებრივი საპირფარეშოების (ბიოტუალეტების) მოწყობა
მონეტარული საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა	<ul style="list-style-type: none"> გონიო-ბათუმის მიმართულებით მოძრავი მუნიციპალური ტრანსპორტის რაოდენობის გაზრდა მუნიციპალური ტრანსპორტის მარშრუტის დაწესება ბათუმის ცენტრალურ ბაზრამდე

ხულო, დიოკნისის თემის სოფელი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტარული საგზაო ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> სოფლებში შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგის გაძლიერება
ელექტროენერჯის უზარისხოდ გაყვანა და საერთო გამრიცხველიანობა	<ul style="list-style-type: none"> ელექტროენერჯის მიწოდება და ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟება ინდივიდუალური გამრიცხველიანება
ინტერნეტთან ხელმიწვდომლობა	<ul style="list-style-type: none"> სოფლებში ინტერნეტის გაყვანა

შუახევი, სოფელი თივაქიანი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
გაუმართავი სასმელი წყლის პრობლემა	<ul style="list-style-type: none"> სასმელი წყლის სისტემის მოწყობა
მონეტარული საგზაო ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> საავტომობილო გზებზე სანიაღვრე არხების მოწყობა სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოწყობა შიდა გზებზე გარე განათების მონტაჟი
მონეტარული ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> სოფლის სახლის, ერთგვარი საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა სოფლის სპორტული სტადიონის მშენებლობა

შუახევი, სოფელი ხიჯაური	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტარული ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> სანიაღვრე არხების მოწყობა სოფლის შიდა გზებზე

შუახევი, სოფელი ხაბაიაშვილი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტარული ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის გაზრდა (დამატებითი ანქების დამონტაჟება) - პროვაიდერ კომპანიებისთვის მიმართვა მუნიციპალიტეტის მხრიდან

შუახევი, სოფელი ჯაბიქაი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტარული ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება

შუახევი, ოლაქაის თემი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
მონეტარული ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> ოლადაურის თემში არსებული მუზეუმისა და მეჩეთის კეთილმოწყობა (შენობებში წყალი ჩადის)

მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტებმა და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ჩვენი სამოქალაქო საბჭოების წევრების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემების შესწავლა დროულად დაიწყონ, რათა მომავალი წლის ბიუჯეტში მათი გათვალისწინება მოესწროს.

ორგანიზაციამ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს შესაბამისი წერილებით უკვე მიმართა.